



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი
(იარი)
№5 (404)
(5776)
2015

“מנורה”


עיתון יהודי

בגורוהי

ისრაელის დამოუკიდებლობის აღდგენის 67-ე დღე თბილისში

ისრაელის ელჩის გატონ იუვალ ფუქსის სიტყვა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გატონი ირაკლი ღარიბაშვილი დღესასწაულზე



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა, - სადღესასწაულო მიღებას მთავრობის მეთაური მინისტრთა კაბინეტის წევრებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

პრემიერმა ქართველი და ებრაელი ხალხის განსაკუთრებულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამის დასტურია საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუხეუმის განხილვა თბილისში, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით განხორციელდა.

„ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენი ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის, ურთიერთშატივისცემისა და ჰარტნიორობის ტრადიციას, რომელიც დღესაც გრძელდება. ვუსურვებ ისრაელის სახელმწიფოს და ჩვენს მეგობარ ებრაელ ხალხს მშვიდობასა და კეთილდღეობას“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ძვირფასო მეგობრებო, უღრმესი მადლობა, რომ ჩვენთან ერთად ისრაელის 67-ე დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავთ.

1902 წელს ახალგაზრდა კაცმა, თეოდორ ჰერცლმა უტოპიური თხზულება „ალტნოილენდი“ („ძველი ახალი მიწა“) გამოაქვეყნა, სადაც რამდენიმე წლის წინათ (1898 წელს) მონახულეული მიწის მომავალზე საუბრობდა.

წიგნში მოთხრობილია ახალგაზრდა ებრაელი ინტელექტუალის ამბავი, რომელიც პრუსიელ არისტოკრატთან ერთად წყნარი ოკეანის შორეულ კუნძულზე მიემგზავრება. გზად ისინი იაფოში ჩერდებიან და რამდენიმე დღის განმავლობაში ათვალთვლებენ გვარიანად ღარიბ ქვეყანას. ოცი წლის შემდეგ, უკანა გზაზე ისინი ხელახლა სტუმრობენ ამ მიწას. ქვეყანა რადიკალურადაა შეცვლილი და მასში ღია, თავისუფალი და კოსმოპოლიტური საზოგადოება ცხოვრობს, თანამედროვე იდეებით განმსჭვალული მთავრობით, სოციალური ინსტიტუტებით, განვითარებული კულტურით, ჯანდაცვით, სოფლის მეურნეობითა და ტექნოლოგიებით.

მეგობრები! ჰაიფაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ყველაზე შთამბეჭდავ პორტში ჩერდებიან, სადაც ათასგვარი ზომისა და ფორმის გემები დგანან, მათ თავზე კი ყველა ერის დროშა ფრიალებს.

მოგზაურები პოლიტიკაზე მასპინძელს ესაუბრებიან:

„ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების დეტალებით თავს არ შეგანწყენთ, - პასუხობს იგი, - ამ მხრივ ჩვენთანაც იგივე მდგომარეობაა, როგორც ყველგან, მაგრამ ჩვენ ფუნდამენტურ ჰუმანიტარულ პრინციპებს ვცემთ პატივს. რაც შეეხება რელიგიას, სინაგოგების გვერდით ქრისტიანულ, ისლამურ, ბუდისტურ და ბრაჰმურ ტაძრებს ადვილად იპოვით“.

მეგობრები! ტექნოლოგიური მიღწევებითაც აღფრთოვანებული არიან:

„მათ გზაჯვარედინს მიაღწიეს, სადაც გადატვირთული მოძრაობის გამო შეყოვნებამ მოუწიათ. მანქანა გააჩერეს და მათ წინ წამომართული რკინიგზის უპირატესობა ახლდა განალიზებს. უშველებელი გალიები რკინის მსხვილ, ორმაგ რელსებს სისინით მიუყვებოდნენ“.

ისინი მოხიბლულნი იყვნენ არქიტექტურით, ქალაქის დაგეგმარებით, საჯარო დაწესებულებებითა და სოციალური მომსახურებით.

„აქ ყველას მუშაობის თანაბარი უფლება აქვს. საავადმყოფოები საქველმოქმედო სათაო ოფისს ტელეფონით უკავშირდებიან. დროული თადარიგის წყალობით, სანოლების პრობლემა არასდროს გვინდობს. სირცხვილით დავინვებოდით, ადრინდელივით, პაციენტის სხვა საავადმყოფოში გაშვება რომ დაგვჭირებოდა. თუ საავადმყოფო გადავსებულია, სასწრაფო დახმარების მანქანა მას პირდაპირ სხვა საავადმყოფოში მიიყვანს, სადაც თავისუფალი საწოლი ექნებათ“.

და ასე შემდეგ...

ჰერცელი ოცნების ახდენას ვერ მოეხსნო. ბაზელში გამართული პირველი სიონისტური კონგრესის შემდეგ (3.9.1897) იგი წერდა: „ბაზელში ებრაული სახელმწიფო დავაარსე. ახლა საჯაროდ რომ განვაცხადო ამის შესახებ, დამცინებენ, მაგრამ 5 ან 50 წლის შემდეგ მის შესახებ ყველას ეცოდინება“.

ჰერცელს დღეს რომ მოენახულებინა მიწა, რომელსაც იგი 1898 წელს ეწვია, ნამდვილად ვერ იცნობდა, თუმცა, დარწმუნდებოდა, რომ მისი ნატვრა ახლა.

67-წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში ისრაელი ძლიერი, თავისუფალი, დემოკრატიული, კრეატიული და უაღრესად განვითარებული ქვეყანაა. მოგესხნებათ, ბევრი გამოწვევა გვაქვს როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე მის საზღვრებს შიგნითაც, თუმცა, მათ გასამკლავებლად მზად ვართ. ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც.

ისრაელის 67-ე დაბადების დღეს გვინდა, ის სულისკვეთება გაგიზიაროთ, რომელიც ისრაელს განსაკუთრებულ სახელმწიფოდ აქცევს - კრეატიული სული, ნატვრის ძალა. დაე, თქვენი ყველა ოცნება ახდეს!

მალე საქართველოც აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ჩემი ქვეყნის ჭეშმარიტ მეგობარს ვუსურვო, მუდამ დამოუკიდებელი, სუვერენული და თავისუფალი ქვეყანა იყოს. უსაფრთხო და აყვავებული ქვეყანა ყოფილიყავით. დაე, საქართველომ მთელი კრეატიული ძლიერება გამოიყენოს და ჰერცლის ნატვრის მსგავსად, მისი ყოველი სურვილი რეალობად იქცეს.

მადლობა ყურადღებისთვის.

(თემის დასასრული მე-2 გვერდზე)

რეუვენ რივლინი: „მე მახსოვს ეს საშინელება და იმედგაცრუება“

ისრაელის პრეზიდენტის რეუვენ რივლინის სიტყვა
ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე



ზუსტად 70 წლის წინათ, 1945 წლის 15 აპრილს, დღის მეორე ნახევარში ბრიტანელმა ჯარისკაცებმა გადალახეს ბერგენ-ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკის ჭიშკარი.

„გათავისუფლების სიხარული შეფერილი იყო იმ საშინელებით, რომელსაც შეეჯახნენ გამანათავისუფლებლები - მათ დაინახეს ათასობით მოკლულთა სხეულები, ასევე სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე მყოფნი. 18168 ადამიანი დაიღუპა ბერგენ ბელზენში. უმეტესობა მათგანი - ებრაელი მამაკაცები, ქალები და ბავშვები. 14 ათასი ადამიანი შიმშილით და ავად-

მყოფობით (ტიფის ეპიდემია) ბანაკის გათავისუფლებიდან პირველი ხუთი დღის განმავლობაში გარდაიცვალა. ბანაკში მყოფი 60000 მამაკაციდან და ქალისგან, უმეტესობა იყო ავად ან მძიმე მდგომარეობაში, მათ არ შეეძლოთ მოძრაობა. ისინი იტანჯებოდნენ შიმშილით, წყურვილით და ნამებით. ისინი იყვნენ ცოცხალი მიცვალებულები.

მათი გადარჩენა ჩანდა შეუძლებელი, მაგრამ ისინი უნდა გადარჩენილიყვნენ, უნდა შეესებოდათ ცარიელი სხეულები ადამიანური სულით, სიცოცხლის სურვილით, სიყვარულის შესაძლებლობით, სიხარულით, და იმედებით

„მე დავიბადე იერუსალიმში იმ თვეში, როცა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. როცა ბერგენ-ბელზენის სიკვდილის ბანაკების, ოსვენციმის, ბუხენვალდის, ტრეზინის შტადტის, ხელმნოს და მაიდანეკის კარები გაიხსნა, მე და ჩემი მეგობრები შევედით პირველ კლასში. მე მახსოვს ჰოლოკოსტის გადარჩენილები, რომლებიც ჩამოვიდნენ იერუსალიმში. პირველად მაშინ დავინახეთ ნომრების ტატუ მათ ხელებზე. მე მახსოვს ის განადგურებული ხალხი, რომლებიც კადიმს ჩურჩულებდნენ. მე მახსოვს ეს საშინელება და იმედგაცრუება. თავიდან ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისინი შეიშალნენ. გავაცნობიერეთ, რომ მსოფლიო შეიშალა.

შემდეგ პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ხაზი გაავლო წარსულსა და მომავალს შორის — ჩვენ ვიმყოფებით ორ მთას შორის - ეს არის მთა ხსოვნისა და მთა აღორძინებისა. ხსოვნის მთა, გვახსენებს ებრაელ ერს, გვახსოვდეს ჰოლოკოსტის ტრაგედია, ხოლო მთა აღორძინების და შენების მოგვინოდებს მომავლისკენ სამზერად, რომ გავაგრძელოთ შესანიშნავი ქვეყნის, უსაფრთხო მსოფლიოს მშენებლობა, რომელიც იმედს მოგვცემს ჩვენ და მომავალ თაობებს.

ჩემო ძმებო და დებო, რომლებმაც გადაიტანეთ ჰოლოკოსტი, აღორძინების გმირებო, თქვენ იპოვეთ ძალა ჩამოგებერტყაოთ კრემატორიუმის ფერფლი, აგერჩიათ ცხოვრების გზა და მოგეხდინათ ამ გზის რეალიზება - გყვარებოდათ, გეცინათ, გაგეშენებინათ ხილის ბაღი. აგეშენებინათ თქვენი სახლი და ნაციონალური სახლი მთელი ერისთვის. ახლა სიკვდილის ბანაკიდან თქვენი განთავისუფლების 70 წლის შემდეგ, ჩვენ ვდგავართ თქვენს წინაშე, ჩვენ ვიზიარებთ თითოეული თქვენგანის ბედს. თითოეული ჩვენგანი, ვატარებთ ტატუს ნომრით ხელზე. ჩვენ არ მივცემთ უფლებას კრემატორიუმის კვამლს დაგვაბრმავოს, ან ნაშალოს ჩვენი შესაძლებლობა ვაცნობიერებდეთ ჩვენს წარსულს, ჩვენს იდენტობას, ჩვენს მემკვიდრეობას. ჩვენ ვართ იმათზე ძლიერნი, ვისაც ჩვენი განადგურება სურდა.

„მენორას“ ესაუბრებიან:

რეზო გაბრიაძე:

მწერალი

ეს დიდად და დიდად მნიშველოვანი დღეა არა მარტო ებრაელებისთვის, არამედ საერთოდ მთელი მსოფლიოსთვის, ნანატრი დღე, ყველას ვისაც გული აქვს სულით და გულით უხარია ეს დეებიღე. მე კი სულითა და გულით ვულოცავ ებრაელ ხალხს ამ დღესასწაულს. ისრაელში ბევრი მეგობარი მყავს, სიყმანვილის დროინდელიც და მოგვიანებით ფილმ „პასპორტის“ გადაღებისას შექმნილი. მომწონს და მიყვარს მათთან შეხვედრები, ყველას ვულოცავ!



რევაზ შათაშვილი:

„ხესედ ელიაჰუს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჯერ ერთი, რომ ყოველ წელს საქართველოში ეს დღე დიდი სიხარულით აღინიშნება, რამდენი სტუმარია თქვენც ხედავთ, ეს პატივისცემაა ჩვენი სახელმწიფოში, როგორც ისრაელის ასევე საქართველოში. მე, როგორც ებრაელს, ძალიან მსიამოვნებს, რომ ვხედავ ამდენ სტუმარს და სახელმწიფოს მიმართ ასეთ თბილ განწყობას, დაწყებული მთავრობის წარმომადგენლებიდან, აქ ყველა ლიდერია შეკრებილი ებრაული თემიდან, ჩვენი ქართველი მეგობრები და ა.შ. კარგი, მხიარული დღეა და ღმერთმა ქნას, დიდხანს იყოს მშვიდობა ისრაელში. ეს კი ჩვენი საერთო საფიქრალი და საზრუნავია: მშვიდობა ისრაელში და მშვიდობა საქართველოში!

ნისან იუსუპოვი:

თემის აქტივისტი

დღევანდელი დღე და ეს ღონისძიება არის ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის დემონსტრაცია. დასტური იმისა, რომ ჩვენი ერთი მიზნები, საერთო გაგება, საერთო სურვილები და დიდი სიყვარული გვაკავშირებს. მიხარია და ვამაყობ, რომ მე ამ მინა-წყლის შვილი ვარ, და ამ ხალხთან ვმეგობრობ. ჩვენ და ქართველები ერთნი ვართ, მე არანაირად არ განვასხვებ საკუთარ თავს ქართველებისაგან. ჩვენ თითოეული ებრაელი ვცდილობთ მოვიქცეთ ისე, როგორც საქართველოსთვის იქნება უკეთესი. რადგან ჩვენ ამ ერის ერთი ნაწილი ვართ, სწორედ ამიტომ აქ შეკრებილ ხალხს, ქართველებსა და ებრაელებს ვულოცავ ამ დღეს.



დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

საქართველოში ისრაელის დამოუკიდებლობის აღნიშვნის წინადაღეს—27 აპრილს საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის პროგრამა „სამოთხის ვაშლები“ მთლიანად ებრაელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამ ბრძოლაში სიონიზმის როლს, საქართველო-ისრაელის მეგობრულ ურთიერთობას, დღევანდელ ისრაელში რეპატრირებულ ქართველ ებრაელთა ადაპტაციის პრობლემებს მიეძღვნა. ამასთან დაკავშირებით სტუდიაში მიწვეულნი გახლდნენ ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი, მწერალი, დრამატურგი, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი გურამ ბათიაშვილი და გასული საუკუნის 90-იან წლებში ჯონისის წარმომადგენელი საქართველოში, დღეს კი ბიზნესმენი მენახემ ელაზარი.

დაუღღელი მეგობარი

ფილხაზ ნანიკაშვილის 60 წლისთავთან დაკავშირებით

დაბადების დღე ეს ის დღეა, როდესაც მეგობრები და ახლობლები აქებენ იუბილარს, ეუბნებიან მადლობას მის მიერ გაკეთებული კეთილი საქმეებისათვის და უსურვებენ ყველაფერს საუკეთესოს ცხოვრებაში.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ჩვენ, შენი მეგობრები, ბატონო მალხაზ, გილოცავთ დაბადების დღეს-- მეგობარს, კოლეგას და კაცს, რომლის დიდ გულში ყველა ჩვენგანის ადგილი მოიძებნა! გისურვებთ დიდხანს და ბედნიერ ცხოვრებას, სავსეს სასიხარულო წუთებითა და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით!


ფილხაზ (მალხაზ) ნანიკაშვილი დაიბადა თბილისში მისი კო და ბალიკო ნანიკაშვილის ოჯახში. მათ ოჯახში ოთხი ვაჟი იზრდებოდა. დედა, ქალბატონი ბალიკო, შვილებს სარწმუნოების, ერთმანეთის, მეგობრის სიყვარულს, სიკეთის კეთებასა და ცხოვრებაში სიმართლით სიარულს უნერგავდა.

ფილხაზი სწავლობდა თბილისის № 77 სკოლაში, იმ დროისათვის უძლიერეს გრიშა კობახიძის სკოლაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ფილხაზ ნანიკაშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილის სახელობის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიაში, აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ იგი მიიწვიეს ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში სპექტროსკოპიის ლაბორატორიის გამგედ. 1982 წელს ჩააბარა ასპირანტურაში და მიემგზავრება მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში და აკადემიკოს ევგენი შჩუკინის ხელმძღვანელობით მუშაობს სადისერტაციო თემაზე „Адгезия частиц, устойчивость и структурообразование в дисперсиях силикатов в присутствии катионного ПАВ и электролита“ და უკვე ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი ფილხაზ ნანიკაშვილი ბრუნდება თბილისში და მშობლიურ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში აგრძელებს მუშაობას. პარალელურად კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

90-იან წლებში საქართველოში დაიწყო სამოქალაქო ომი, ომი აფხაზეთში, ეკონომიური სიდუხჭირე, დაიწყო ყველა სოციალური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ფორმების რღვევა. საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებთან, ერთად ებრაელობასაც ძალიან გაუჭირდა.

ამ პერიოდში, (90 წლების შუა პერიოდში) ფილხაზ ნანიკაშვილი პარალელურად მუშაობას იწყებს ჯონთის კავკასიის წარმომადგენლობაში ოფის-მენეჯერად, ხოლო შემდეგში, 1997 წელს, როდესაც დღის წესრიგში დადგა კავკასიაში პირველი საქველმოქმედო ცენტრის ჩამოყალიბება, ფილხაზ ნანიკაშვილი დაინიშნა მის პირველ დირექტორად, სადაც 2000 წლამდე იმუშავა. თუ როგორ იმუშავა და როგორი ავტორიტეტი დაიმსახურა, ამის შესახებ დღესაც სიყვარულით და პატივისცემით იხსენებს ხესედის მრავალრიცხოვანი მომხმარებელი არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც - გორი, ქუთაისი, სურამი, ქარელი, ახალციხე, ბათუმი, ფოთი და სხვა.

2000 წელს „ჯონთ“ -ი აარსებს კავკასიის და აზიის რეგიონის ებრაული თემებისათვის სოციალურ და სათემო მუშაკთა ინსტიტუტს და მის პირველ დირექტორად აქაც ფილხაზ ნანიკაშვილს ნიშნავენ. დაარსების დღიდან, ამ ინსტიტუტმა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში არსებულ ინსტიტუტებს შორის იმთავითვე დაიმკვიდრა დირსეული ადგილი თავისი მაღალი პროფესიონალიზმით. ინსტიტუტის ბაზაზე ტარდებოდა არა მარტო ადგილობრივი სემინარები, არამედ რეგიონალური სემინარები და კონფერენციები მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვისაც. 2000 წლის ბოლოს „ჯონთ“-ს გარკვეული პრობლემები შეექმნა დაღესტანში და აქაც ფილხაზ ნანიკაშვილი მიიწვიეს და დანიშნეს „ჯონთ“-ის პროგრამების დირექტორად, ამ მეტად საშიშ რეგიონში, სადაც მან იმუშავა 2005 წლის ბოლომდე.



2006-2008 წწ, ფილხაზ ნანიკაშვილი მუშაობას იწყებს, გაეროს განვითარების პროგრამით — მოკლევადიანი საკონსულტაციო მომსახურება ტექნიკური და გარემოს დაცვითი საკითხების მონიტორინგის BTC და SCP მილსადენების მშენებლობაზე (UNDP Short-term Advisory Services on Technical and Environmental Issues of Monitoring BTC and SCP Pipeline Construction) - პროექტის ადგილობრივი კოორდინატორად.

აი,რას ნერენ მასზე მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები და სპეციალისტები მსოფლიოს ლიდერი კომპანიებიდან - „RPS Energy“ (გარემოს დაცვითი საკითხები) ნიკ ლუისი (Nick Lewis), მაიკლ ჰოლგეტი (Michael Holgate), ჯონ პერი (Jon Perry) და „P Kenny“ (მილსადენების მშენებლობა)- პაულ დოჩერტი (Paul Docherty) - „ჩვენი თანამშრომლობის მანძილზე დოქტორი ნანიკაშვილი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ჩვენი გუნდის თავდადებული, ენთუზიზმითა და კრეატიულობით აღსავსე წევრი. მას კარგად იცნობენ და პატივს სცემენ ადგილობრივ სამეცნიერო წრეებში და მას აქვს ფართო კონტაქტები. იგი ყოველთვის არის უადრესად სანდო და აუცილებლობის შემთხვევაში მოქმედებს კონფიდენციალობის სრული დაცვით. ჩვენ მას ვახასიათებთ, როგორც დიდი პოტენციალისა და მრავალმხრივი განათლების მქონე პიროვნებას“.

2007-2010 წწ იგი მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მრჩეველად. ფილხაზ ნანიკაშვილი არის საბუნებისმეტყველო და ტექნიკის დარგში ქართულ-ებრაული სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი (1992 წელი); გახლდათ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების მდივანი.

დადგა პერიოდი, როდესაც ფილხაზ ნანიკაშვილს თითქოს ცხოვრება გაუორდა. ეს არც ყოფილა გასაკვირი, რადგან მას ხომ ორი სამშობლო აქვს. საქართველოში, თბილისში დაბადებულ კაცს, რომელმაც იცის და უყვარს ქალაქის ყოველი ქუჩა, ჰყავს ერთგული სამეგობრო წრე, ოჯახი, ეძახის მოხუცი მშობლები და მეორე სამშობლო. მშობლები-სადმი პატივისცემის გრძნობამ და მშობლიური მიწის სიყვარულმა გაიმარჯვა და ფილხაზი, 2010 წლის ბოლოს მიემგზავრება ისრაელში.

ისრაელში იგი იწყებს მუშაობას ბარი-ლანის უნივერსიტეტში ნანოტექნოლოგიების მიმართულებით. თავისი კეთილსინდისიერებითა და შრომის დიდი სიყვარულით საკმაოდ მოკლე პერიოდში გარკვეულ წარმატებებს აღწევს. ფილხაზ ნანიკაშვილს აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და პუბლიკაცია მსოფლიოს რეიტინგულ ჟურნალებში, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო კონფერენციაში, როგორც ისრაელში ისე საზღვარგარეთ.

ნათქვამია კაცი ოჯახითაა ძლიერი. თუ გადავხედავთ ფილხაზის ოჯახს მას გვერდით უდგას მეუღლე - უკეთილშობილესი ქალბატონი ლალი დავითაშვილი, რომელიც სიკეთესა და სიბოძის უხვად უნანილებს მეგობრებსა თუ უბრალოდ ნაცნობებს, არის უადრესად სტუმართმოყვარე და უბადლო დიასახლისი. მათ ქალ-ვაჟი ჰყავთ. ქალიშვილი - ირინა დაოჯახებულია, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე და სამი არაჩვეულებრივი შვილი, ხოლო ვაჟი -ირაკლი

- თავისი ცოდნით, განათლებითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით მტკიცედ მიაბიჯებს ცხოვრების რთულ გზაზე.

ფრანგებს აქვთ ასეთი ოქროს სიტყვები - ახალგაზრდობას რომ სცოდნოდა და მოხუცებულებას რომ შეძლებოდა. მაგრამ არის პერიოდი ცხოვრებაში, როდესაც გამოცდილება და ძალა გვერდი გვერდ მიაბიჯებენ. ეს ასაკი შეიძლება ჩაითვალოს ბედნიერ ასაკად, რადგან მას ახასიათებს ორი შესანიშნავი სიტყვა „კიდევ“ და „უკვე“. ცხოვრება ამ დროს ადვილიც არის და სასიამოვნოც.

ფილხაზ, თუ ცხოვრებაში დაბრკოლება შეგხვდება არ გაგიჭირდება მისი გადალახვა, რადგან თითქმის ყველაფერი გასაგებია.

შენ ხომ უკვე 60 წლის ხარ! თუ ახალგაზრდობა შემოგეხმინება თამამად შეგიძლია მის გვერდით დადგომა, ჯერ კიდევ ბევრი რამის მიღწევა შეიძლება.

შენ ხომ მხოლოდ 60 წლის ხარ.

ჩვენი ფილხაზ, ძალიან გვენატრები შენს მეგობრებსა და კოლეგებს, გვენატრები და გვაკლიხარ. გვაკლია შენი გვერდით დგომა, მაგრამ მშვიდად ვართ, რადგან ვიცით, რომ შენს ძლიერ და მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად ბედნიერი ხარ შენს სამშობლოში.

დაე, ეს ბედნიერება არ მოგიშალოს უფალმა!

კიდევ ერთხელ მიიღე ჩვენგან გულწრფელი მოლოცვა და სურვილები, მიგელწიოს ახალი სიმაღლეებისათვის, შეგსრულებოდეს ყველა ნატვრა და მისწრაფება, არ მოგკლებოდესნათელი დღეები, სიყვარული და ოპტიმიზმი!

დაე, წარმატება ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი ყველა შენს მიერ წამოწყებულ საქმეში, ხოლო ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში!

მეგობრების სახელით:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური და ანლიზური ქიმიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ჟურნალის „Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis“ (Elsevier, Amsterdam, Holland) რედაქტორი, პროფესორი **ბეჟან ჭანკვეტაძე**;

- პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვლადიმერ ციციშვილი**;

- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **იოსებ ჩიკვაძე**.

- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი **როლანდ ცანავა**

- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **კობა ამირხანაშვილი**

- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, „საქართველოს უნივერსიტეტი“-ს პროფესორი, **თეიმურაზ ვარდოსანიძე**;

- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ლაბორატორიის გამგე **თეიმურაზ კორძაძია**;

- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ თანამშრომელ **გიორგი ნინწკალაძე**;

- ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, აგრარული ქიმიის პრობლემათა ლაბორატორიის გამგე **სპარტაკ უროტაძე**;

- თანაკურსელები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი კანდელაკი, რამაზი კობალაძე**, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი **მარინა ბარაბაძე**, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი **თეიმურაზ ჯიბლაძე**.

ქართულ-ებრაული აზროვნების სათავიბითან

ექვანეა საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბის ყიმაშულ დავითაშვილის ხსოვნას

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №4)

დოქტორი იცხაკ დავიდი



ღრმა ცოდნამ, განსწავლულობამ განსაკუთრებული ადგილი დაუქვეყნებდა რაბი იმანუელ დავითაშვილს არა მარტო საქართველოს ებრაელობაში, არამედ საქართველოს მართლმადიდებლურ წრეებშიც. დადასტურებულია, მაგალითად, კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა რაბი იმანუელ დავითაშვილისადმი ერთ-ერთ ოფიციალურ მიღებაზე, რომელიც განსვენებულ მალქიციდეკ მესამის საპატივსაცემოდ გაიმართა. ოფიციალური პირების, სინოდის წარმომადგენლების თანდასწრებით ასე მიუმართავს ეფრემ მეორეს რაბი იმანუელ დავითაშვილისადმი: „შენ დიდო ადამიანო, შენ დიდი ერის ხელმძღვანელო, ხელმძღვანელო ერისავ, რომელმაც ბუმბერაზი ადამიანები მისცა კაცობრიობას, წარმომადგენელო ერისავ, რომელმაც შეძლო ათეული ღმერთები ერთ ღმერთად დაეყვანა. შენ დიდო ადამიანო, ნაწილო ერისავ, რომელიც იბრძვის მშვიდობის დასამყარებლად.“ ანალოგიური გულთბილი სიტყვები წარმოუთქვამთ ასევე იქ მყოფ ქართველ მწერლებსა და პოეტებსაც. მათ შორის პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს.

განსაკუთრებული სიბოძო, სიყვარული და მეგობრული პატივისცემა აკავშირებდა რაბი იმანუელ დავითაშვილს ამ სტრიქონების მამის ოჯახთანაც, რომელსაც თავის მეურვეობას არ აკლებდა ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ (1961).

1957 წელს, როცა საცხოვრებლად დიდი ლოცვის მახლობლად მდებარე ქუჩაზე დავსახლდით და მამამ სასწავლებლად ნეტარხსენებული ძვირფასი რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილის ხედვრში მიმბარა, ყოველდღიურ საჭიროებად, სულიერი შიდახედვის აუცილებლობად მექცა მშობლიურ, დიდ ლოცვაზე სიარული, სადაც ორსავე სართულზე, როგორც ქვემოთ, ასევე ზემოთ, ჩვენ საკუთარი სკამები გვექონდა... (ქვემოთ თების ხელმძღვანელებს პირველივე სკამი, ზემოთ თების ხელმძღვანელებს, მესამე სკამი).

რალაც სათუთ, დამანყარებელ, დამამშვიდებელ შარავანდედს ჰყვნიდა რაბი იმანუელ დავითაშვილის ტიტანური წარმოსადგობა, იგი თავისი ოჯახით ლოცვის ეზოშივე ცხოვრობდა. თბილისის ჯამაათი თავს ბედნიერად თვლიდა იმ გარემოებით, რომ მისი სულიერი მოძღვარი, მისი მთავარი რაბი ლოცვისავე შემოგარენში სადგურებდა; ეს რალაც ქვეცნობიერ სიძლიერეს გვმატებდა. თითქოს ვიცოდით, რომ 24 საათის განმავლობაში დაფარვატებდა დაუღალავი რაბი ლოცვას, მის კედლებსა და მის ეზოს; როცა მინხის ან არბითის ლოცვა იწყებოდა, თვლები ერთთავად კარები-სკენ იყო მიპყრობილი, როდის შემოვიდოდა ჩვენი სულიერი ერთიანობისა და სიმტკიცის სიმბოლო, ყველა ფეხზე აწამოდგებოდა, მისი შემოსვლისთანავე, თითქოს თავისებური მტკიცე ერთთავად მიძიმე და მსუბუქი ნაბიჯებით, რალაც შეუბლაღავი, აცისკროვნებული, წინასწარმეტყველური შემართებით შემოვიდოდა, გაცვექროდით ლოცვის მოგრძო ლამაზი სარკმელებიდან ცისფერ ზეცას და მერე მზერა მასზე, რაბი ი. დავითაშვილზე გადაგვექონდა. ჩვენთვის მშობლიური ბავშვური შთაგონების მისაღებად, იქ ჩვენ რწმენას ვსწავლობდით, მაგრამ არა ბრძანს, არა სქოლასტიკურს, არა დახუთულსა და შეზღუდულს, არამედ ამამაღლებელს, გამაკეთილმობილებელს! დაბლა სართულზე შესასვლელის გარდვიგარდმო სქელ კედლებში ღრმად ამოჭრილ კარადებში ასობით წიგნი იყო მოთავსებული, რომელ ქვეყანაში არ

იყო გამოცემული ის წიგნები: რუსეთი, იტალია, თურქეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი... აკი ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა ის ებრაული ბიბლიოთეკა თბილისის ლოცვის წიგნთსაცავში, 1958-1962 წლებში მინხასა და არბითს შორის ჩემთვის ვიჯექი, ვკითხულობდი სხვადასხვა წიგნებს, სწორედ სხენებული ბიბლიოთეკის წყალობით დავეუფლე სეფარადების სამეტყველო ენას — ლადინოს და აშქენაზებისას — იდიშს, აკი რაბი იმანუელ დავითაშვილისა არ იყოს, ჩვენ ხომ არც სეფარადები ვართ და არც აშქენაზები, ჩვენ თვითმყოფადნი ვართ. არაერთხელ მოსულა ჩემთან სანუკვარი რაბი, გადაუსვია თავზე ხელი და უთქვამს, აბა ახლა უნდა გამოგცადოო, რა ისწავლე დღეს რაბი ისრაელთანო. ვეცყოდი ხულისინს ტრაქტატის (მასხეთი) ესა და ეს თავი მეთქი, თან რალაც გაუცნობიერებელი შიში მეუფლებოდა, ყრუანტელი მივლიდა ტანში, კანკალს ვინყებდი, ვის წინ ვიდექი!.. როგორ გავართმევდი თავს ამ ამოცანას, თუ გამიმართლებდა და კითხვებზე სწორედ გაცემდი პასუხს ან საჭირო რთულ ცნებებსა და სიტყვებს ზუსტად ავხსნიდი, შემაქებდა, მომეფერებოდა, ნამახალისებდა, მამას ეტყოდა, დღეს ბიჭს გამოვკითხე და ყოჩად კარგად მიპასუხაო, ერთხელ მასსოვს საჩუქრად ისრაელიდან ჩამოტანილი პატარა სიდური გადასცა მამას, ჩემს, სისარულს საზღვარი არ ჰქონდა, ხელში ხომ ისრაელიური სიდური მეჭირა!..

თითქმის ყველა საჯამაათო სახალხო საქმის ნაპერწკალი იყო რაბი იმანუელ დავითაშვილი, პირნათლად ემსახურებოდა არა მარტო თბილისის ჯამაათის, არამედ მთელი საქართველოს ებრაელების თემ-საზოგადოებებსაც. ხშირად ჩადიოდა ქუთაისში,

ცხინვალში, ბათუმში, სოხუმში, საჩხერეში, კულაში. არ ავიწყებოდა თავისი მშობლიური ახალციხეც. აკი სწორედ მას უნდა ვუმადლოდეთ უპირველესად, რომ ახალციხისა და აწყურის უძველესი ისტორიული ებრაული სასაფლაოები, რომლებიც გაპარტახებულ-მონგრეულის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, გაღავანემორტყემულნი იქნენ, რამდენი სასაფლაო გადაურჩა განადგურებასა და პირისაგანმინისაგანაღვას, ჩვენიწინაპრების სასაფლაოები და საფლავები ჩვენი ისტორიააო, ჩვენივე წარსულიაო, ჩვენივე მისამართიაო“, უყვარდა თქმა. ნამოდგებოდა ეს ბუმბერაზი ადამიანი თებაზე, უქმე დღე იყო, შაბათი თუ დღესასწაული, თავისი მგზნებარე სიტყვით, თავისი გულშიჩანვდომი ლაღისით შეუდრეკი ლოგიკის ძალით, დაარწმუნებდა ხალხს ამა თუ იმ საქმის ან ღონისძიების აუცილებლობაში, ეს არ იყო უბრალო გაცვეთილი ჰომილეტიკა, ან მარტივი ლიტურგიის ფრაზები, ეს იყო სიტყვა გულის, ებრაული სულის სიღრმეიდან ამომავალი, ეს იყო სიტყვა, ცეცხლის ჰაერნაკადში გამოვლილი, სიტყვა უბრალო და ნარისხალი, ნასეტყვარი, ერთი ნუთით გეგონებოდა, თითქოს 2500-წლოვანი ებრაელი წინასწარმეტყველი ცაცოცხლებულია და აქ, საქართველოში გამართულა მისი აპოკალიფსიო. ის არღვევდა მაშინ ყოველ დროით ისტორიულ მიჯნას, ყოველ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივსა და რელიგიურ-თეოლოგიურ კონიუნქტურას, იგი ცნობდა უამრავ ებრაულ სასულიერო ძეგლებსა და კომენტარებს, იცოდა ყველა მათი ავტორის ცხოვრებისეული ბიოგრაფია, მაგრამ თავისებურად, ორიგინალურად აშუქებდა მათ.

ამოსავალი წერტილი მისი ბიბლიოლოგიური აზროვნებისა თანახმად მე-

ორე ნაწილი, ე.წ. წინასწარმეტყველთა წიგნი იყო.

შაბათობით, შუადღისას, ტევა არ იყო თბილისის დიდ ლოცვაში, რაბი იმანუელ დავითაშვილი დარაშობდა, ჯერ ნელა იწყებდა დინჯი, თანაბარი ხმით, მიჰყვებოდა მოცემული კვირის საკითხავს (ფარაშათ ჰამაფეა), მერე თანდართულ წინასწარმეტყველო თავზე გადადიოდა (ჰაფტარა), და სწორედ მაშინ იწყებოდა საოცარი გარდასახვა ადამიანისა. არა, თებაზე უბრალო მოკვდავი როდი იდგა, იქ იდგა უჩვეულო ღვთაებრივი სხივით გაცისკროვნებული ახალი წინასწარმეტყველი, რომელმაც ყველაფერი იცოდა, წარსულისაც, აწმყოსიც და მომავლისაც, რომლისთვისაც არაფერი არ იყო ახალი მზიერ ცისქვეშეთში, რომლისთვისაც ყოველივე იყო უკვე თავიდანვე და წინდანინ მოცემული ღვთაებრივ სიტყვაში, ისრაელის ბედში, ერეცი-ისრაელის სინმინდემი...

არ დამავინყებდა 1959 წლის რომ-ჰაშანის შემდეგ პირველი შაბათი, როცა იგი იდგა შაბათ დღეს თებაზე და იეშაიას ამეტყველებდა მისთვის ჩვეული მგზნებარებით (იხ. თავი 42), „ანი ჰაშემ კერათიხა ბეცედეკ, ვახხეკ ბეიადხა, ვეცარხა ვეეთანხა ლიბრით ამ ლეორ გომი...“, „მე ვარ უფალი ღმერთი, დაგოძახე ჭემმარტებით, მოვჭედე ხელსა შენსა, გაგსახე, გამორჩეულ ერად მიგეც შენ, სინათლედ ერებისათვის“...“, რაბი იმანუელის მიხედვით კავშირი ღმერთისა და ისრაელის ერს შორის საურთიერთოა, დამოკიდებულია ისრაელის ქცევასა და მყოვრობაზე, იმაზე თუ რამდენად იქნება ეს ერი ერთგული, ღმერთი-ადონაის სახელისა: „ანი ჰაშემ ჰუ შმი“ — ესაა ძირითადი თეზისი და კონტენტსენცია მთელი ბიბლიური მსოფლმხედველობისა, ადონაი, ვითარც ღმერთის სახელი, ყოვლისმომცველი, ყველგან ჩამწვდომი, ყოვლისმემძლე, რომელსაც ყოველივეს მოქმედება შეუძლია, რომელიც მხოლოდ იმიტომაა უსასრულო და სასწაულოთმოქმედი, რამდენადაც მასშია გათქვეფილი და ჩაძირული სამყარო და მისი სავსეობა, თავის მოვლენითობით, სიძაბუნით, სისარულითა და ტკივილით.

რონი აკარა ლო იალადა, ფიცხი რინა ვეცაჰალი ლო ხალა ქი რაბიმ ბენე შომემა მიბნე ბე'ულა, ამარ ჰაშემ, — თითქოს აი, ეხლაც ჩაგვემის ეს ფრაზა, რაბი ყიმაშულის ბაგეებს აწყვეტილი, თითქოს დღესაც ნუგეშისმცემლად მოვლენია დაკორძილა და დაქცეულ შვილთსა და დედასამშობლო ისრაელს. — „ილადადე ეულო, შვილმოუცლელი, განახვენ ბაგენი შენი სიმღერად და იხიარულე შობადაუსრულებელი, რადგანაც უფრო მეტნი არიან მოხრობით შვილები, ქმარგამოვლილთ შვილთაგან, ბრძანებს გამჩენი...“ მთელი კომპლექსი ანალოგიებისა რაბი იმანუელ დავითაშვილს სწორედ ისრაელის აქტუალურ სინამდვილესა და მდგომარეობაზე გადააქვს, მას სურს წარმავლობის საერთო პროცესი, რალაც წამიერი ღვთაებრივი დაიჭიროს, რითაც გაყინავს დროებით მიწიერებას, ხორციელებას, პრაგმატიზმს, რითაც ერთ დიდ ღვთაებრივ ჭეშმარიტებას ილადადებს. „ანია სო'არია ლო ნუხამა...“ განაგრძობდა რაბი იმანუელ დავითაშვილი და მსწრაფლ ცოცხლებოდნენ მარადიული ებრაული სახეები, ბიბლიური პერსონაჟები, რომელთა ისტორიულ ქარგასაც უმადლის კაცობრიობა საკუთარი ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებას. ანდა ამეტყველებდა დიდი რაბი დიდ წინასწარმეტყველს მალახის (თავი 1) — „აჰავთი ეთხემ ამარ ჰაშემ ვამართემ ბემა აჰავთანუ“ — „მე შეგიყვარეთ თქვენ, ბრძანებს უფალი, თქვენ კი ამბობთ, რითი შეგიყვარე?“ — რაბი

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

არქიტექტურული პოეზიის ვნება (შოთა ბოსტანაშვილის უცნაური მედიტაციები)

როსტომ ჩხიკია

აბრაჰამ იბნ ეზრას სტრიქონებს შოთა ბოსტანაშვილი ჯემალ აჯიაშვილის დატირებად აქცევდა და ასე დაავიკრივებდა მისადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ სტატიას: ასე მოგელტვი, მაგრამ ამაოდ: ველარც ხიდი ვცან, ველარც — მეხიდე, დაბლით გზა დაშთა, მალლით — საბაოთ, მე — საფეხურით გადმოვიკიდეო...

საფეხურიდან გადმოკიდების სიმბოლური ხატი ისე შეძრავდა, წერილის სათაურადაც მას შეარჩევდა.

ბოლო ხანს ლექსებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს — ტელეფონში, კომპიუტერში... მართლაც უცნაურობად აღიქმება, აბა, სხვა რა, როდესაც ისრაელიდან თბილისში მოისმის ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და არაბული პოეზიის ნიმუშები დედნისავე ენაზე, თანაც ჯემალ აჯიაშვილისათვის ნიშანდობლივი დიდებული დეკლამაციით.

შოთა ბოსტანაშვილი თავისი პოემის „ოთხი ლაპარაკი“ ფრაგმენტებს ნაუკითხავდა და კიდევ ერთხელ მოისმენდა თანამოსაუბრის შეფასებას — საქებარი ეპითეტებით სავსეს...

გავიდოდა ცოტა ხანი და... მწარე გულისტკივილი გამოითქმოდა გამოსათხოვარში: ნეტა ჩამეწერა ჩვენი ეს, თითქმის ერთსაათიანი, ურთიერთშეხიანება, ვინ იფიქრებდა, რომ ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იქნებოდაო...

ეს სტრიქონები კიდევ ერთხელ შეგვაგონებს, რომ არ გადავდოთ სამომავლოდ ის, რისი აღსრულების სურვილიც გაგვიჩნდება, არ გვეგონოს, რომ ყოველთვისაც მოვასწრებთ... ცოცხალს რომ შეჰყურებ ადამიანს, გგონია, რომ სულ ასე იქნება და დრო-ჟამი თავის გზაზე ივლის ისე, რომ თქვენს ურთიერთობაში არ ჩაერევა... მაგრამ დრო-ჟამი თავისი მკაცრი კანონები აქვს და ძალიან უხეშად სჩვევია ჩარევა და თვით ყველაზე ფაქიზი ძაფების განწყვეტაც...

ასე გადაიდო სამომავლოდ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთი თავყრილობისათვის გამიზნული შეხვედრაც შოთა ბოსტანაშვილთან, როგორც პოეტთან, სწორედ ის „ოთხი ლაპარაკი“ რომ მოგვესმინა მისთვის ჩვეული ოსტატური დეკლამაციით... როგორც პოეტთან, თორემ როგორც კრიტიკოსი და ორატორი ჩვენს ლიტერატურულ შეხვედრებს აღარ აკლდობოდა... და მე კი დღემდე მანუხებს ეს ჩაშლილი შეხვედრა, რადგანაც თურმე ბატონი შოთას სიცოცხლეს შემოზღუდული ყოფილა... არ ვუჯერებდით, გული რომ ანუხებდა, რადგანაც გარეგნულად ყოჩაღად გამოიყურებოდა...

კადიშს, რომ ნაიკითხავდა ჯემალ აჯიაშვილის სახელზე, „სიდურის“ ტექსტის ერთ ფრაგმენტს ხელახლა დაუბრუნებოდა და მე რე შალომ დავიდის ქართულ თარგმანსაც გაახიანებდა: დაე იყოს ნება შენი, უფალო, ჩვენო ღმერთო და ჩვენი მამების ღმერთო, რომ გვიხსნა, დღეს და დღენიდაც, კადნიერთაგან და კადნიერებისაგან, ბოროტი კაცისაგან, ავზნე ქალისაგან, ბოროტი ნადილისაგან, ავგული მეგობრისაგან, ბოროტული მეზობლისაგან, ბედითი ხიფათისაგან, ავთვალისაგან...

და ასე გრძელდებოდა ვედრება, ვიდრე ეს აკორდი დააბოლოვებდა: მძიმე მოქიშისაგან, რომელიცაა ალტქმის ძე, ან არ არის ძე ალტქმისა (მას მნიშვნელობა არა აქვს), და ჯოჯოხეთის მსჯავრისაგანო.

მაღე მის სახელზეც გახდებოდა საჭირო კადიშის ნაკითხვა.

და ქართული ვერსიის გახმინებაც.

ეგაა, მისადმი მიძღვნილი სტატიები არ დაიხუნდებოდა პოეტური ალიტერაციებითა და სიტყვათა თამაშით, თვითონ საითაც მიდრეკილიყო მთელი არსებით და აღარ დაგვიდევდა ჟანრს, ოღონდაც ხელიდან არ გაეშვა შემთხვევა სიტყვების თავის ნებაზე დატრიალებისა, მათი მარჯვედ დანანევრებისა და ახალ-ახალი ნახნაგების პოენისა მათ შინაარსშიც და გარეგნულ აგებულებაშიც, დეტალების გამკვეთრებით სიტყვათა უცნაურ და ეფექტურ კარნავალურობას რომ აღწევდა.

თუ ვინმე უჭერდა მხარს მის პოეტურ ძიებებს, ერთი უპირველესთაგანი გურამ ბათიაშვილიც, მაგრამ პუბლიცისტიკაში ალიტერაციისა და სიტყვათამაშის გადმოტანა უკვე აღარ ეჭაშნიკებოდა და უარყვდა მეგობარს: თავი აერიდებინა ამ მიდრეკილებისათვის, ჯერ ესეისტიკაშიც შეემსუბუქებინა ეს ტენდენცია, თორემ პუბლიცისტიკაში ხომ უბრალოდ გაუშართლებლად მიიჩნევა.

ის არ დაუთმობდა, კამათი კი ცხარე სჩვეოდა, მიუთმეტეს, როდესაც მისთვის ყველაზე სასუქვარს შეეხებოდნენ, იმ პოეტურ თავისებურებას, თვითონ მიღწევად რომ მიითვლიდა.

არ იყაბულებდა შოთა ბოსტანაშვილის არგუ-



მენტებს გურამ ბათიაშვილი, ოღონდ არასოდეს მისცემდა თავს ნებას, ჩარეულიყო მის ტექსტებში თუნდ რედაქტორის უფლებით და ოდნავ მაინც გაეკრა შალაშინი. თავს კი იმით ინუგეშებდა: „შოთა ხომ იმ ავტორთა რიგს განეკუთვნება, რომელთაც ასეთი შემოქმედებითი ცელქობის უფლება ყოველთვის აქვთ“.

ცხადია, ასევე განმეორდებოდა ეს ტექსტები იმ ნიგნის ფურცლებზე, გურამ ბათიაშვილი რომ შეადგენდა მეგობრის გარდაცვალების წლისთავზე და ერთად შეკონავედა გაზეთ „მეწიროში“ ნღების განმავლობაში დაბეჭდილ მის პუბლიცისტურ თუ ესეისტურ წერილებს, წინათქმამი კი საგანგებოდ აღნიშნავდა იმ რამდენიმე გულისტკივილს, სიცოცხლის ბოლო წლებში რომ იწვევდა ღვანღმოსილი არქიტექტორი, საერთაშორისო ასპარეზზეც რომ მიეღწია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის.

პოეზიისა და არქიტექტურის სინთეზს რომ ესწრაფოდა, ინვესტორი დაანგრევდა ამ პრინციპით შექმნილ მის ნაგებობას თბილისში, დავითაშვილის ქუჩაზე;

ახალციხელთა ლოცვის რეკონსტრუქციის პროცესშიც არ გაითვალისწინებდნენ მის მოსაზრებებს; ბეით ქნესეთის მესვეურები ყურსაც არ ათხოვებდნენ მის რჩევებს ანდა არ სურდათ მისთვის ყურის დაგდება;

ხოლო რაც შეეხება მისი გარდაცვალების წინა საღამოს, ეტყობა, რაღაც ძალზე საწყენი შემთხვევით, რადგანაც რედაქტორის წინათქმამი გვამცნობდნენ,

რომ ამის თაობაზეც ოდესმე მოგვიხსობდნენ.

პოეზიისა და არქიტექტურის შერწყმას რომ ესწრაფოდა არქიტექტურაში, ამასვე ესწრაფოდა პოეზიაშიც — რათა ეს ორი შემოქმედებითი ვნება მარჯვედ მოერგო ერთიმეორისათვის... და ამ გზას თავდავინყებულნი ჟინით მიჰყვებოდა.

გრაფიკული ლექსი ჩვეულებრივი მოვლენა გახდებოდა დასავლურ მოდერნისტულ პოეზიაში, ჩვენშიც რომ მიმართავდნენ ამგვარ ცდებს, ტარიელ ჭანტურია იქნებოდა თუ ვახტანგ ჯავახიძე, შოთა ბოსტანაშვილი კი ამ სახეობის იმ ფორმას ამჯობინებდა, არქიტექტურულ ნაირგვარობად რომ წარმოადგება და... ჰოი, რა უჯვართად და მიკროსკოპული ჩარმავეებით უტრიალებდა თითო ბგერასა თუ სასვენი ნიშანს, ყოველ დეტალს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა და ასე აგებდა იმ ორიგინალურ პოეტურ კონსტრუქციებს, თავის მკითხველთა წრესაც რომ გაიჩენდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თანადგომის წყალობითაც, მათ შორის კი ისეთ ჩინებულ შემდეგებებს, ნანა კუციანი რომ გახლავთ, რომელიც ვრცელი კრიტიკულ-ესთეტიკური განსჯით გამოიქმნაურებოდა მის პოეტურ კრებულს, მღელვარე არქიტექტურულ-ლირიკულ მედიტაციებს.

— ასეთი ლექსები არასოდეს ნამიკითხავსო, — ეტყოდა ოთარ ჭილაძე და... ბატონი შოთა რარიგ ამაცობდა ამ შეფასებით და... მეტი მონდომებითაც ჩაეფლობოდა მისთვის საყვარელი მწერლის შემოქმედების შესწავლაში... და ისე მოხდებოდა, რომ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე ოთარ ჭილაძის მხატვრულ თავისებურებებს რომ უტრიალებდა, უცრად სუნთქვა გაუძნელებოდა, აშკარად შეეცდებოდა, ცუდად რომ იყო... და ძალიან შეუფოთდებოდა მის გვერდით მჯდომი მკა ჯოხაძე: ბატონო შოთა, ხომ არაფერი გიჭირთ, წყალი ხომ არა გნებავთო?..

და იმას კიდევ ამოქარდებოდა სული.

— არ მოკვდეთ, ბატონო შოთა, ბატონო შოთა, არ მოკვდეთ, — გარს ეხვეოდნენ და ჩასძახოდნენ კონფერენციის მონაწილენი, მაგრამ სასწრაფო დახმარების მანქანა რომ მოვიდოდა, მას უკვე აღარაფერი ეშველებოდა...

ბევრი შემოქმედი ინატრებს ასეთ სიკვდილს, ბევრი მკვლევარი გაიფიქრებს: ეჰ, ნეტა მეც ასეო!..

მაგიდას დააკვედ სამეცნიერო მოხსენების კითხვისას, ლიტერატურულ პრობლემატიკაზე მსჯელობისას...

ნატვრით ინატრებს, მაგრამ იშვიათად რგებიათ ამგვარი აღსასრული, შოთა ბოსტანაშვილი საიდანაც გაიხურავდა წუთისოფლის კარს...

გაიხურავდა და... ლტოლვით კი კვლავაც მიელტვოდა, მაგრამ ან უკვე ამაოდ — ველარც ხიდს სცნობდა, ველარც მეხიდეც, დაბლით გზა დაშთებოდა, მალლით — საბაოთ, თვითონ კი საფეხურით გადმოვიკიდებოდა...

დაუმცხრალი არქიტექტურული პოეზიის შექმნის ჟინით, მაგრამ იმ უცარი გასხივოსნებისას ბედს შერიგებული: დაე იყოს ნება შენი, უფალო, ჩვენო ღმერთო და ჩვენი მამების ღმერთო!..

ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, აპრილი

იმანუელ დავითაშვილი ამ საურთიერთო სიყვარულის კვანძის ძიებაშია, მის მონახვას ცდილობს, და აკი პოულობს კიდევ ზნეობის ფენომენში, მას სწამს, რომ ისრაელის გამორჩეულობა უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ამავე ერს, რომელიც ღმერთმა ერთ ერად უნდა აქციოს თავისსავე ქვეყანაში, რომელსაც ერთი მმართველი ჩაუდგება სათავეში, რომელიც არ გაჰყვება სხვა ერების გზას.

ასეთი მსოფლმხედველობა საცნაური იყო საერთოდ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებისეული ყოფისათვის, სხვანაირად წარმოდგენილიც კი იყო ეროვნული თვითშეგნების გადარჩენის შესაძლებლობა, ღვთაებრივ-სარწმუნოებრივი იერარქია ზნეობის პრინციპებზე იყო აგებული, დაჯერებულობაზე, გამტანობაზე.

როცა ხანუქის დღეები ახლოვდებოდა ისევ და ისევ ვუყურებდით ჩვენს დიდ რაბის სახანუქო გაბრწყინებულ კანდელთან მდგომს, მისი ბავენი უფრო მეტს წარმოსთქვამდნენ ვიდრე ამავე სიტყვების ფიზიკურ ბგერობრივ გარსს შეეძლო წარმოველენა, სახანუქო შუქი და ეროვნული აღორძინების იმედი ერთმანეთს ერწყმოდნენ თითქოს და მაშინ, სწორედ

მაშინ ნამომართებოდა კვლავ რაბი იმანუელის არსება, მშობლიურ თებაზე, ხელებს გაშლიდა, ყველაფერი ტორტმანს ინყებდა, ადამიანები, იქ მყოფნი თავისებურ მედიტაციაში გადადიოდნენ თითქოს, რაბი იმანუელის განწვილი მკლავი, ფესვმაგარი, ძირმყარი მუხის ტოტებივით დასთამაშებდა ლოცვის სინათლე-ფაკულულ კედლებს, საღამოსნობისას, საქართველოს ცას და მიწას სწვდებოდა ზეხარია წინასწარმეტყველის სიტყვები — „რონი ვესიმზი ბათ ციონ ქი ჰინენი ბა ვემახანთი ბეთოხეხ ნეუმ აღონაი.“ — „იმღერე და იმხიარულე ასულო სიონისაო“, — ლაღადებდა რაბი იმანუელ დავითაშვილი და ჩვენ რაღაც უჩვეულო აღმავლენას ვგრძნობდით. — რომ აი, მოვდივარ, და დავისადგურებ თქვენში, ბრძანებს გამჩენი...

რაბი იმანუელის აზრით სიონის ერთადერთი მიზანდასახულობა ერის ცხოვრებაში მისი სულიერი განწმენდის, კათარზისის მოვალეობაა. იგი ილაშქრებდა ამ ცნების შებღვლა-გაქურდვის წინააღმდეგ, გმობდა მისი სპეკულაციური მიზნებით გამოყენების ცდებს, მიაჩნდა, რომ განახლებულ ისრაელის სახელმწიფოს, განახლებული სულიერი პრინციპები ესაჭიროებოდა, როცა საზოგადოებას, მის ყოველ ფე-

(დასასრული მე-7 გვერდზე)

რას ვპიტიხ ულობი
ამ კვირაში?
რაბინის კუთხე

ე
მ
ო
რ
ა



აარონ მდინარაძე

თორის თავი „ემორ“ იწყება სამწუხარო თემბზე (სიკვდილზე და დასაფლავებაზე) საუბრით და მთავრდება ებრაული დღესასწაულების (შაბათი, ფესახი, შაუუყოთი, რომ-ჰაშანა, იომ ქიფური, სუქოთი) ჩამოთვლით. ორი საპირისპირო თემის (მწუხარება და სიხარული) სიახლოვიდან ჩვენი ბრძენები სწავლობენ მნიშვნელოვან გაკვეთილს: მძიმე საათის დროსაც კი, როდესაც გარშემო სავსეა პრობლემები, არ დაკარგოთ იმედი, არ იდარდოთ, არ დაამარცხებინოთ თავი ცუდ აზრებს, აუცილებლად მოვა დრო დასვენების და სიმხიარულის.

პრობლემები და მწუხარება ჩვენი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტებია. ვინც ფიქრობს, რომ მათ გარეშე შეიძლება ცხოვრობა - ცდება და სხვებიც შეჰყავს შეცდომაში. უღრუბლო ცხოვრება არ არსებობს, მაგრამ მუდმივი მწუხარებაც არ არსებობს, თუნდაც იმიტომ, რომ დრო ყველაფერს კურნავს... როგორც თქვა ავრაჰამ იბნ ეზრამ: "დღის დადგომასთან ერთად ერთად ნუ გეშინია, როგორც მოვიდნენ(უსიამოვნებები), ასევე დაგტოვებენ."

ჩვენ ვთქვით, რომ თავი მთავრდება დღესასწაულების აღწერით, ეს მთლად ასე არ არის. დღესასწაულების თემა მართლაც, ფართოდ არის განხილული, მაგრამ თავის ბოლოში მოთხრობილია ერთი ისტორია: "და გამოვიდა ებრაელების ბანაკში(წრეში) ვაჟი ისრაელი ქალის, და იყო იგი ძე ევგვიპტელის, და იკამათეს მან და სხვა ისრაელები შვილმა. და მიაყენა შეურაცხყოფა ევგვიპტელის ძემ ყოვლისშემძლეს(ჰაშემს) და მიიყვანეს ის მოშესთან..."

შემდეგ წერია თორაში - „სიკვდილი მას, ვინც შეარცხვენს ჰაშემის სახელს. სიკვდილი მას, ვინც ვინც მოკლავს სხვა ადამიანს, მაგრამ თუ მოკლავს სხვის საქონელს, გადაიხდის და ასევე თუ დააზიანებს სხვა ადამიანს - ასევე გადაიხდის. (ვაიკრა 24:22)

და მხოლოდ ამის შემდეგ წერია, მოუყვანა მოშემ ხალხს ეს წესები, გამოიყვანეს დამნაშავე ბანაკის გარეთ და ჩაქოლეს.

რატომ არის მთელი ეს ეპიზოდი განთავსებული დღესასწაულის თემებზე ლაპარაკს შორის? როგორც ვიცით, შემდეგი თავი „ბეჰარ“ აგრძელებს ებრაულ კალენდარზე საუბარს.

პასუხს გვაძლევს რაბი აპარონ ბაქსტი (1867-1941), თავის წიგნში "ლევ აპარონ".

თუ დავყოფთ თორის წესებს თემატურად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ მათ აქვთ სხვადასხვა სიწმინდის დონე და სხვადასხვანაირად უნდა შევასრულოთ. ზო-

გიერთი მეტად მნიშვნელოვანია, სხვები ნაკლებად. მაგალითად დღესასწაულების დაცვით ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვისთვის ზიანის მიყენება ან ჰირიქით.

ან შეგვიძლია ვთქვათ უფრო ნათლად: არის ურთიერთობების ნორმები ადამიანებს შორის და არის წესები ადამიანს და ჰაშემს შორის. და არავინ რომ ასე არ გადაწყვიტოს, აუცილებელია ითქვას რომ დაუშვებელია მკრეხელობა ჰაშემთან დამოკიდებულებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მართალი იქნებიან ისინი ვინც იძახიან, რომ მთავარია იყო კარგი ადამიანი(კარგი ქმარი, მამა, მეგობარი, მოქალაქე და ა.შ.), რომელიც არ დაარღვევს ადამიანებს შორის ცხოვრების წესებს, მაგრამ რაც შეეხება რწმენას მორწმუნე იქნება თუ ათეისტი - ეს მისი სინდისის საკითხია.

თორა გვასწავლის, რომ თუ ადამიანი აღიარებს მხოლოდ ეთიკური წესებს, რომლებიც ეხება მის ურთიერთობებს სხვა ადამიანებთან, ადრე თუ გვიან ის გაივლის ჰაშემის გამოცდას ზუსტად ამ თემაში და თუ ის მიიჩნევს, რომ იყოს პატიოსანი და ღირსეული - ეს არის კანონი საზოგადოების და არა ყოვლისშემძლესი, და თუ ტესტის შემდეგ მას აღარ ექნება ადამიანების რწმენა - ესე იგი არანაირი რწმენა არც ყოფილა თავიდანვე.

“და გამოვიდა ებრაელების ბანაკში(წრეში) ვაჟი“ - შეარცხვნა თავის თავი ყველას წინაშე, განაწყენდა მთელ სამყაროზე და დაიწყო ჰაშემის სახელის შელახვა. ყველაფერი კავშირშია: ხალხის რწმენა და ჰაშემის რწმენა. ერთი მეორე გარეშე არ არსებობს.

რაც რეუვენ პიატიგორსკი სტატისტიკის გამოყენებით - აპარონ მდინარაძე ლევილი ნიშნით სარა ბათ აპარონ ანოლდა მინ მირიამ ეშუთ რეუვენ ბერიძე მენუხათო ბე გან ყედენ

არჩევნები თბილისის დიდ სალოცავში

26 აპრილს თბილისის ებრაელობა თვალყურს ადევნებდა დიდი სალოცავის გაბაის მორიგ არჩევნებს. ელოდნენ ფარული კენჭისყრის შედეგად, თუ ვინ მოიპოვებდა უპირატესობას. ბოლო ორი წლის მანძილზე თბილისის დიდ სალოცავს მართავდა ფარული კენჭისყრით არჩეული მერაბ ჩანჩალაშვილი. თავისი შესრულებული საქმის თაობაზე მას არ უყვარს ხმამაღალი საუბარი. არ უყვარს საჯაროდ გამოტანა იმ მოგვარებული პრობლემების, რომლებიც იდგა სალოცავის წინაშე და მან შეძლო მოგვარება.

სალოცავის გაბაის ადგილის დასაკავებლად განაცხადი საარჩევნო კომისიის წინაშე გაკეთებული ჰქონდათ თვით მერაბ ჩანჩალაშვილს და ჯამაათის ერთ-ერთ ჩინებულ წარმომადგენელს მერაბ მესენგისერს. არჩევნების ჩატარებას უძღვებოდა საარჩევნო კომისია. კომისია შედგებოდა ხუთი წევრისგან: კომისიის თავჯდომარე - დავით ტატიკიშვილი, მდივანი - რაფო ათანელიოვი, კომისიის წევრები ედუარდ პალაგაშვილი, მენახემ ელაზარი და იაშა ქოსაშვილი. არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრით. კენჭისყრა დაიწყო დღის 16 საათზე. დასრულდა--სალამოს 19ს-ზე და 30 წუთზე. დაბეჭდილი იყო 220 ბიულეტენი, სარეგისტრაციოდ დარიგდა 150 ბიულეტენი, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 130 ამომრჩეველმა, 17 ბიულეტენი დაბრუნდა უკან, გაუქმდა 3 ბიულეტენი. 99-მა ამომრჩეველმა ხმა მისცა მერაბ ჩანჩალაშვილს. ხმათა უმრავლესობით თბილისის დიდ სალოცავის გაბაიდ, მეორე ვადით, ახლა უკვე სამ წლით, კვლავ არჩეული იქნა მერაბ ჩანჩალაშვილი, მერაბ მესენგისერს ერგო 31 ამომრჩევლის ხმა. არჩევნების შემდეგ რაბინმა რახამიმმა დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დალოცა მერაბ ჩანჩალაშვილი და უსურვა წარმატება მომავალ საქმიანობაში.



თამარ შავოშვილი

ნას, ყოველ წევრს თავისი სახე ექნებოდა შენარჩუნებული. საბოლოო ჯამში ხომ მწვავედ იდგა საკითხი დიასპორა-ისრაელის ურთიერთმიმართებისა, მაშინ, როცა დიასპორის ებრაელობა მაგ. საქართველოში გაცილებით იცავდა მამაპაპულ ტრადიციას, ვინემ საერთოდ ისრაელის მრავალფერებანი, ჭრელი, რთული საზოგადოება თავისსავე მიწაზე, თავისსავე ქვეყანაში. ეს პარადოქსი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ანუხებდა 1972 წლის 6 სექტემბერს ისრაელში ჩამოსულ რაბი იმანუელ დავითაშვილს.

იგი საესებით სამართლიანად უშვებდა წინასწარმეტყველ ირმიაჰუს თქმულს ცხადივც ასრულებას: „ქო ამარ ადონაი, ზახარ თი ლახ, ხესედ ნე 'ურაიხ, აპავათ ქლულოთაიხ ლეხთეხ ახარაი ბამიდბარ...“, უსაზღვროება თავგანწირვაში, სიღრმე ვრცეულება სულიერ სინმინდემში, აღჩენილი მრავლისმეტყველება ღვთაებრივ სიბრძნეში, ჭეშმარიტების სიყვარული, გზის გაკაფვა სამყაროსულ ბნელეთით მოცულ სივრცეებში, ერებში, ხალხებში, უდაბნოებში; ავის, ბოროტების, სიყალბის წგრევა, დამსხვრევა, მორბევა, განადგურება, იავარყოფა; კარგის, დადებითის, კეთილის, მართლის, ჭეშმარიტის განდიდება, აღზევება, მათი აპოთეოზი, - ესაა რაბი იმანუელი-სათვის დამახასიათებელი ინტერპრეტაცია. იგი არ იყო მხოლოდ სულიერი მოძღვარი, არამედ ეროვნული ხელმძღვანელიც, განა ვინმეს დაავინყდება ფარაშათ ვავთხანანის შაბათს, 1961 წელს წარმოთქმული

დარაში „ნახამუ, ნახამუ ამი, იომარ ელოჰებემ“ - „ნუგეშით ინუგეშე ერო ჩემო ბრძანებს ღმერთი“. - იემს'ია და მის დროს გადმოხვენილი ებრაელების ნაშთი საქართველოში, რაბი იმანუელი საქართველოში, იემს'ია - დიდი ისრაელის სათვისტომოს მოძღვარი და მისი სიმბოლო დროითი მიჯნა 2500 წლისა, - აბიათარი, ზერუბაველი, ელიოზი, ლონგინოზი, რაბი იოსეფ თბილისელი, რაბი იემს'ია ბენ იოსეფი და ათობით ქართველი ებრაელი რაბი საქართველოს ყველა კუთხეში, მშობლიური პატრიარქალური სიმტკიცის მედროშენი, რაღაც ამოუცნობი სენტიმენტალური პოეტური ნიუანსებით, სწორედ ისეთი, როგორც მხოლოდ საქართველოს ებრაელობას ახასიათებდა და მეტს არავის, არც ერთ დიასპორულ თემს, უდროობის გავანტულობაში. ამ პოეზიით ვსულმდგმულობდით, ამ დაუმრეტელი სიტკბოს წყაროთი, მშობლიური საქართველოს მთებიდან, რომ ჩამოჩქედდა დღენი-ადაგ, რითაც ვიკვებებოდით, რათა მარადიული ყოფილიყო ჩვენს ბავშვურ წარმოსახვებში ყველა ეს რაბი, ყველა ეს კუთხე, ყველა ეს უბანი, რათა მარადიული ყოფილიყო ჩვენი პატრონი რაბი, დიდი რაბი იმანუელ დავითაშვილი.

ერთ-ერთი უკანასკნელი მისეული ღალადისი ჩემს ცნობიერებაში შაბათ შუვას უკავშირდება, აბა, გაიხსენეთ წინასწარმეტყველ პომეს სიტყვები: „შუვა ისრაელ 'ად ადონაი ელოჰება ქი ქაშალთა ბა'ავონება...“, „დაუბრუნდი ისრაელი შენს გამჩენს ღმერთს, რადგა-

ნაც წაიბორძიკე შენს ბრალეულობაში...“ ეს მარადიული სიტყვებია, ეს სიტყვები არ კვდებიან დღესაც, როცა აღარაა რაბი იმანუელ დავითაშვილი. დღესაც, როცა სასტიკი გრძნობა გვეუფლება სიმარტოვის, ეულობის, ობლობის; ჩვენ გაგრძელებას ვეძებთ, რა-ღაცაში, ვიღაცაში, ხსნას ვეძებთ, შველის ძაფისკენ ვისწრაფით, როგორმე ჩავავლოთ ხელი, არ გაგვიტაცოს ცხოვრების ამღვრეულმა მდინარებამ, თუნდაც იქ ისრაელში, წგრევისა და შენების წყურვილსა და შიმშილში, ერის ერად გამოკვეთის სიძაბუნეში, მის სპეტაკნარევ ბინიერებაში, რომელიც განწმენდას, თვითგანწმენდას ლამობს, ბავშვური ხორციელებისაგან, სულიერი სიბეცისაგან.

აღარაა ის დიდი რაბი, ჩავსვენა სპეტაკი სახე მისი, ერეც ისრაელის მშვიდ მიწაში. ვინ გვანუგეშებს?! იქნებ ისევ ის ზენაარსი? - „ანოხი ანოხი ჰუ მენახ-ემხემ...“ ნეტარიმც იყოს ხსოვნა მისი უკუნისამდე, ამენ!

მინანერის მაგიერ: ეს ნარკვევი გონებისა და გულის სისხლნარევი ტკივილში დაინერა, სინაის დატოვების დღეს 25.04.1982 წელი, მომიტევოს მკითხველმა, რომ რიგ შემთხვევებში ვერ დავიცავი ზომიერება, მშვიდი ლოგიკური თხრობითი ანალიზისა და გრძნობით - ემოციონალურ სფეროებს შორის ზღვარდადებისა, რამეთუ რაბი იმანუელ დავითაშვილი ჩემი ახლოური წარსულის ერთი ცოცხალი ფურცელია, რომელიც სრულად ჯერ კიდევ არ გადაშლილა.

ისრაელისა და მბრალეობის ირგვლივ

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანები

ჟურნალმა „ტაიმმა“ გამოაქვეყნა 2015 წლის 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სია, რომელშიც შევიდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაუ. სტატიის ტექსტი დაწერა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში, ნეთანიაუსთან მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე, ალიარებისა და დაფასების სიტყვებთან ერთად ბარაკმა გამოთქვა კრიტიკული მოსაზრებაც:

— მე ბიბის, ათწლეულების წინ შევხვდი, როგორც ჯარისკაცს და როგორც ახალგაზრდა ოფიცერს, ჩემი ხელმძღვანელობით რეალურ ომში. მას ჰქონდა გადაწყვეტილების მიღების უნარი, იყო გამჭრიახი და მიზანდასახული. მისი ხასიათი არ შეცვლილა, - წერს ბარაკი.

ნეთანიაუ ახლახანს უკვე მეოთხედ, აირჩიეს, ისრაელის მეთაურად. მე პირადად ვიცი, რომ არ არის ტრივიალური - მოხვიდე მთავრობაში, არ არის ადვილი მართო ან დატოვო დადებითი კვალი ისტორიაში. ნეთანიაუ ძირითადად მართალია ირანთან და ჩვენ სამიშ სამეზობლოსთან მიმართებაში, წერს ყოფილი პრემიერი, მაგრამ მას არ შეუძლია მოეჭიდოს სასურველ შესაძლებლობებს, ხოლო პალესტინის საკითხთან დაკავშირებით ის უხეშად უწევს იგნორირებას ისრაელის უფსკრულში გადავარდნის საშიშროებას.

იმისთვის, რომ დატოვოს თავისი კვალი, ნეთანიაუმ სასწრაფოდ უნდა შეახორცოს მისი წინასწარჩვენო კამპანიის დროს გახსნილი ჭრილობები, დააღაგოს ურთიერთობა პრეზიდენტ ობამასთან, აწარმოოს მკაცრი ბრძოლა-ძირითადად დახურულ კარებთან - პოლიტიკის გამკაცრებაზე, და თუ საჭიროა, შეუტეოს კიდევ ირანს, თამამად დაუჭიროს მხარი ტერორის, რადიკალიზმის და ირანის ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლას.

აუცილებელია თამამი მოქმედება. არა მარტო სიტყვები, - წერს ბარაკი.

„ფორბსის“ რეიტინგი



ჟურნალ „ფორბსის“ რუსულმა ვერსიამ გამოსცა მორიგი, ყოველწლიური მილიარდერების რეიტინგი რუსეთში. როგორც გამომცემლობა ამტკიცებს, ბოლო წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 111-დან 88-მდე შემცირდა. მილიარდერების პირველ ათეულში აღმოჩნდა სამი ებრაელი, პირველ ასეულში კი - 15.

მეორე ადგილზე არის მიხეილ ფრიდმანი, რომლის ქონება შემცირდა 3 მილიარდით და შეადგენს 14,6 მილიარდ დოლარს. ამდენივე დაკარგა ვიქტორ ვეკსელბერგმა, რომელიც მეოთხე ადგილზეა (14,2 მილიარდი), მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა ლეონიდ მიხელსონი, რომლის დანაკარგმა ბოლო წლის განმავლობაში შეადგინა 3,9 მილიარდი დოლარი (11,7 მილიარდი).

მეთერთმეტე ადგილზე აღმოჩნდა გერმან ხანი (9,5 მილიარდი), მას მოჰყვება რომან აბრამოვიჩი (9,1). 22-ე ადგილზე - ალექსანდრე აბრამოვი (4,5). 24-ე ადგილზეა ზახარ ილიევი (4,1), 25-ზე - გოდ ნისანოვი (4,1), ოცდამეთერთმეტეზე იური მილნერი (3,2), 41-ე ადგილზე ვიაჩესლავ კანტორი (2,3), 47-ე ვადიმ მაშკოვიჩი (1,9), 53-ე ბორის მინცი (1,6) მესამოცე ადგილზეა არკადი როტენბერგი (1,4), ხოლო 96-ე ადგილზე ვიაჩესლავ მირილაშვილი (0,95). ბოლო ებრაელი რუსი მაგნატების სიის ასეულში ბორის როტენბერგი (0,95) 99-ე ადგილზეა.

ეკვიპტელი ტელემაგვანი ნეთანიაუს მოუწოდებს მიენდოს ალაჰს და დაბოძოს ირანის ატომური რეაქტორი

ირანის სამომავლო ბირთვულ პროგრამაზე ჩარჩო-ხელშეკრულების დადება მნიშვნელოვან შემოთავაზებას იწვევს, როგორც ისრაელში ისე სუნიტურ ქვეყნებში, პირველ რიგში, საუდის არაბეთში და ეგვიპტეში, რომლებიც არ მალავენ კრიტიკას ა.შ.შ-ის საგარეო პოლიტიკის მიმართ.

როგორც NEWSru.co.il იტყობინება, ამ განწყობას იზიარებს საზოგადოება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ ჩქარობს ჩაერთოს ვაშინგტონთან ღია კონფრონტაციაში, თუმცა ამ ხედვის ანარეკლი შეიძლება ვიპოვოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

ეგვიპტის სატელევიზიო ტელეარხის „ალფარან“-ის მფლობელმა და წამყვანმა ტაუფიკ ოკაშმა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიაუს მოუწოდა მიიტანოს იერიში ირანის ბირთვული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე. სამხედრო საპაერო ძალების სამიზნე უნდა გახდეს ბუშერის ატომური ელექტროსადგური.

„ირანი პირდაპირ შენს წინაა, ბუშერი პირდაპირ შენს წინაა. მიენდე ალაჰს და დაბოძე ის. ჩვენ შენთან ვართ. თუ შენს თვითმფრინავებს სჭირდებათ სანავიგაციო მოცემით მას“, - აცხადებს ტელემაგვანი, რომელიც ნეთანიაუს ეგვიპტის მეგობარს ეძახის.

კუჭის კიბოს დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი

ისრაელის ექიმებმა შემოგვთავაზეს ახალი ტესტი, რომელიც დიდი სიზუსტით იძლევა საშუალებას მოვახდინოთ კუჭის კიბოს დიაგნოსტიკა.

ბოლო დრომდე კიბოს დიაგნოსტიკისთვის გამოიყენებოდა ენდოსკოპიის მეთოდი, რომელიც საკმაოდ შრომატევადი იყო ექიმებისათვის და ნაკლებად სასიამოვნო პაციენტებისათვის.

სასუნთქ ტესტს არ აქვს ეს ნაკლოვანებები.

კუჭის კიბოს არსებობა რომ აღმოვაჩინოთ, პაციენტისათვის საკმარისია ამოსუნთქოს მონოცილობაში, რომელიც აღჭურვილია სპეციალური მიმღებებით. შემდეგ კი სისტემა თავად დაიჭერს ამონასუნთქ ჰაერში სიმისინის ქიმიურ ინდიკატორებს. კვლევისას აღებულ იქნა სუნთქვის ნიმუშები 484 ადამიანისაგან, 99-ს ჰქონდა კუჭის კიბო. ტესტი აღმოჩნდა იმდენად ზუსტი, რომ განისაზღვრა განსხვავება კუჭის კიბოს ადრეულ და გვიანდელ ფორმებს შორის.

რომის პაპი ევროპის რაბინთა დელეგაციას შეხვდა

20 აპრილს რომის პაპი პირველად შეხვდა ევროპის რაბინთა კონფერენციის დელეგაციას. დელეგაციის ხელმძღვანელობდა ევროპის რაბინთა საბჭოს თავმჯდომარე, მოსკოვის მთავარი რაბინი ფინხაზ გოლდშმიდტი.

რომის პაპმა გამოხატა შემფოთება იმის გამო, რომ ევროპაში ძლიერდება ანტისემიტისმი, — არც ერთ ქრისტიანს არ ძალუძს არ დაგმოს ანტისემიტისმი ნებისმიერი გამოვლინება — განაცხადა რომის პაპმა და თანადგომა აღუთქვა ებრაელ ხალხს. მან გაიხსენა ამასწინათ აღნიშნული აუშვიცის ბანაკის განთავისუფლების 70 წლისთავი. ამასთან პაპმა ფრანცისკმა გულისტკივილი გამოსთქვა იმის გამო, რომ მკვიდრდება, მავნე ტრადიცია იცხოვროს ისე, თითქოს ღმერთი არ არსებობდეს. ევროპაში სეკულარიზმი და ათეიზმის დამკვიდრება ნეგატიური პროცესიაო.



პრეზიდენტის პროტანტი ექსპრეზიდენტს

ისრაელის პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა უარი განაცხადა შეხვედროდა აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტს ჯიმი კარტერს. (კარტერი აპირებდა ახლო აღმოსავლეთში მოგზაურობისას იერუსალიმსა და პალესტინის ავტონომიაში ჩასულიყო). ისრაელის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ისრაელელი პოლიტიკური ლიდერები თავს იკავებენ ჯიმი კარტერთან შეხვედრისაგან — კარტერს ჯერ კიდევ პრეზიდენტობის ფამიდან მოსდევს ანტიისრაელური ქმედებების შლეიფი. აშშ-ს ექსპრეზიდენტმა ამ ბოლო წლებშიც გამოავლინა ისრაელისადმი ნეგატიური დამოკიდებულება: მხარს უჭერს „ხამასს“, მხარი დაუჭირა პალესტინის ცალმხრივ შესვლას საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუმცაღა, ოსლოს ხელშეკრულება ასეთ ქმედებებს არ ითვალისწინებს. ამას გარდა, იმასაც აღნიშნავენ, რომ 2006 წელს კარტერმა დაწერა წიგნი „პალესტინის აპარტეიდი“, ამ წიგნში თვალნათლივ გამოჩნდა კარტერის ანტიისრაელური სულისკვეთება.

ნეთანიაუს რუსეთის გადაწყვეტილებას აკრიტიკებს

პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაუმ მთავრობის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში გააკრიტიკა რუსეთის გადანყვეტილება საზენიტო რაკეტები S-300 გადასცეს ირანს.

— ისრაელი ვერ შეურიგდება იმას, რომ რუსეთი აიარალებს ირანს, მაშინ როცა ირანი ზრდის თავის აგრესიულობას რეგიონში, განსაკუთრებით კი ისრაელის საზღვრებთან.

ნეთანიაუმ აღნიშნა რომ ჩვენ ხშირად ვხედავთ თეირანში ჩატარებულ პარადებს.

— იარაღი, რომელსაც ამ პარადზე აჩვენებს ირანი, ყოველწლიურად ხდება უფროდა უფრო ძლიერი — იზრდება მისი დარტყმის მანძილი, მომაკვდინებელი ძალა, მაგრამ არ იცვლება მიზანი: „სიკვდილი ისრაელს!“ აწერია ამ იარაღს. იმ საშიშროების გამო, რომელიც მოგახსენეთ, ისრაელი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი საზღვრები და მოსახლეობა — განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.



მესამე აღბილა

ისრაელი ბინების სიძვირის მხრივ, მსოფლიოში მესამე ადგილზეა. 2008 წლიდან, რომელიც მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისის წლად ითვლება, ისრაელში ბინები 87%-ით გაძვირდა. ისრაელზე უფრო დიდი გაძვირება დაფიქსირდა ბრაზილიაში — 200%-ით და ეს მაშინ, როდესაც ამ პერიოდის განმავლობაში გერმანიაში ბინა მხოლოდ 32,8%-ით გაძვირდა, კორეაში კი 19%-ით. ესპანეთსა და ირლანდიაში პირიქით მოხდა — ბინები 37%-ით გაიადფა.

<p>დაგფუქნებელი და</p> <p>გამომცემელი:</p> <p>გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე</p> <p>თბილისი, ლეონიძის 11^ბ,</p> <p>ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p>	<p>რეგისტრირებულია</p> <p>ქ. თბილისის მთაწმინდის</p> <p>რაიონის სასამართლოს</p> <p>მიერ.</p> <p>რეგისტრაციის № 4/1-921</p>	<p>რედაქტორი</p> <p>გურამ ბათიაშვილი</p> <p>ISSN 1987-8982 UAC 070</p> <p>411.16 8-557</p> <p>9771987898003</p>
---	---	--